

შპს ემსა ჯორჯია ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მსს ფასს-ზე გადასვლა	6
4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
5. ფული და ფულის ექვივალენტები.....	10
6. სავაჭრო მოთხოვნები	10
7. მარაგები	10
8. ძირითადი საშუალებები	11
9. სავაჭრო ვალდებულებები.....	12
10. მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები	12
11. საწესდებო კაპიტალი	12
12. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	12
13. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	13
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13
15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	14
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	14

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19	31-12-18
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	27,575	22,470	103,388
სავაჭრო მოთხოვნები	6	49,716	10,086	20,699
გადახდილი ავანსები		8,907	7,666	-
მარაგები	7	577,299	733,913	1,040,693
სხვა მიმდინარე აქტივები		-	12,595	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		663,497	786,730	1,164,780
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	128,315	117,954	69,354
სულ გრძელვადიანი აქტივები		128,315	117,954	69,354
სულ აქტივები		791,812	904,684	1,234,134
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	9	1,738,574	1,388,774	1,016,355
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		14,187	8,483	51,543
საგადასახადო ვალდებულებები		8,477	-	34,595
მიღებული ავანსები		-	-	1,300
მოკლევადიანი სესხები	10	496,500	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,257,738	1,397,257	1,103,793
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	10	245,116	711,027	496,500
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		245,116	711,027	496,500
სულ ვალდებულებები		2,502,854	2,108,284	1,600,293
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	44,434	-	-
აკუმულირებული ზარალი		(1,755,476)	(1,203,600)	(366,159)
სულ საკუთარი კაპიტალი		(1,711,042)	(1,203,600)	(366,159)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		791,812	904,684	1,234,134

აღმასრულებელი დირექტორი -----

3



გუნგორ გორქემ აიღინ

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	944,868	2,234,599
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(616,110)	(1,524,505)
საერთო მოგება		328,758	710,094
ხელფასები და სხვა სარგებელი	13	(255,294)	(505,366)
ცვეთის ხარჯი	8	(24,555)	(21,663)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(527,243)	(986,609)
საოპერაციო ზარალი		(478,334)	(803,544)
ზარალი საკუროსო სხვაობიდან		(73,522)	(34,573)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(20)	676
ზარალი დაბეგვრამდე		(551,876)	(837,441)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(551,876)	(837,441)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარი	-	-	(366,159)	(366,159)
წმინდა ზარალი	-	-	(837,441)	(837,441)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	(1,203,600)	(1,203,600)
წმინდა ზარალი	-	-	(551,876)	(551,876)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	11	44,434	-	44,434
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი		44,434	(1,755,476)	(1,711,042)

აღმასრულებელი დირექტორი -----



გუნგორ გორქემ აიდინ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19	31-12-18
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	27,575	22,470	103,388
სავაჭრო მოთხოვნები	6	49,716	10,086	20,699
გადახდილი ავანსები		8,907	7,666	-
მარაგები	7	577,299	733,913	1,040,693
სხვა მიმდინარე აქტივები		-	12,595	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		663,497	786,730	1,164,780
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	128,315	117,954	69,354
სულ გრძელვადიანი აქტივები		128,315	117,954	69,354
სულ აქტივები		791,812	904,684	1,234,134
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	9	1,738,574	1,388,774	1,016,355
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		14,187	8,483	51,543
საგადასახადო ვალდებულებები		8,477	-	34,595
მიღებული ავანსები		-	-	1,300
მოკლევადიანი სესხები	10	496,500	-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,257,738	1,397,257	1,103,793
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	10	245,116	711,027	496,500
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		245,116	711,027	496,500
სულ ვალდებულებები		2,502,854	2,108,284	1,600,293
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	11	44,434	-	-
აკუმულირებული ზარალი		(1,755,476)	(1,203,600)	(366,159)
სულ საკუთარი კაპიტალი		(1,711,042)	(1,203,600)	(366,159)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		791,812	904,684	1,234,134

აღმასრულებელი დირექტორი -----

გუნგორ გორქემ აიდინ

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-20	31-12-19
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	944,868	2,234,599
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(616,110)	(1,524,505)
საერთო მოგება		328,758	710,094
ხელფასები და სხვა სარგებელი	13	(255,294)	(505,366)
ცვეთის ხარჯი	8	(24,555)	(21,663)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(527,243)	(986,609)
საოპერაციო ზარალი		(478,334)	(803,544)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(73,522)	(34,573)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		(20)	676
ზარალი დაბეგვრამდე		(551,876)	(837,441)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ზარალი		(551,876)	(837,441)

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარი	-	-	(366,159)	(366,159)
წმინდა ზარალი	-	-	(837,441)	(837,441)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	(1,203,600)	(1,203,600)
წმინდა ზარალი	-	-	(551,876)	(551,876)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	11	44,434	-	44,434
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერი		44,434	(1,755,476)	(1,711,042)

აღმასრულებელი დირექტორი -----

გუნგორ გორქემ აიდინ

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ემსა ჯორჯია დაფუძნდა 2017 წლის 26 აპრილს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ფანჯიკიძის (ყოფილი ბუდაპეშტი) ქ., N 22. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405203998. კომპანიის 100%-ის მფლობელია ემრაპ უჩარ (15673411558, U 13085493 /თურქეთი).

შპს ემსა ჯორჯია საქართველოს ბაზარზე ოპერირებს ბრენდული სახელით „MADAME COCO“. კომპანია წარმოადგენს პარიზულ სტილზე დაფუძნებულ მაღაზიათა ქსელს. მისი პროდუქციის ასორტიმენტი მოიცავს ისეთ კატეგორიებს როგორიცაა: სახლის ტექსტილი და აქსესუარები, მინის/ბროლისა და პლასტმასის ჭურჭელი, პარფიუმერული და კოსმეტიკური ნაწარმი. კომპანიის პროდუქციას შეძენა შესაძლებელია თბილისში მდებარე 4 სხვადასხვა ლოკაციაზე მდებარე მაღაზიებში.

კომპანია საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი - გუნგორ გორქემ აიღინ (U23190903, 25657215508 /თურქეთი).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. 2020 წელს COVID-19-ით გამოწვეული გლობალური კრიზისის გამო, მარტის მეორე ნახევარში საქართველოში გამოცხადდა ე.წ. ლოქდაუნი, რამაც მრავალი ბიზნესის საქმიანობის შეჩერება და/ან დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა განაპირობა. ლოქდაუნმა ორი თვე გასტანა. აღნიშნულის გამო, კომპანიამ დროებით შეაჩერა მომხმარებლის მომსახურება მარტიდან, რამაც შეამცირა კომპანიის 2020 წლის რეალიზაცია დაგეგმილთან შედარებით. თუმცა მაისის შუა რიცხვებიდან, კომპანიამ განაახლა მომხმარებლის მიღება და მის მერე სრული დატვირთვით ფუნქციონირებს. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. მსს ფასს-ზე გადასვლა

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2020 წლის 1 იანვარი.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში საწარმომ გამოიყენა ნებადართული გამონაკლისები.

4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095

4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5
მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-5
სატრანსპორტო საშუალებები	10

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

4.3 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) მარაგის შენახვის დანახარჯები; ბ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; გ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილი მეთოდი. კომპანიას არ გააჩნია წარმოება. იგი ახდენს მზა პროდუქციის შემენასა და შემდგომ არსებულ მდგომარეობაში გადაყიდვას. შესაბამისად კომპანიის მარაგები შედგება მზა საქონელისგან.

4.4 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “წავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტელეკომუნიკაციებისა.

4.5 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი.

4.7 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. ასევე ყოველდღიური საქმიანობისთვის კომპანიას აქვს ფული სალაროში.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-20	31-12-19
ფული სალაროში	6,183	2,923
ფული საბანკო ანგარიშებზე	21,392	19,547
სულ	27,575	22,470

6. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ დებიტორებისგან, რომელთაც კომპანიამ მიყიდა პროდუქცია და რომელთაგანაც პროდუქციის თანხა ჯერ არ იყო ჩარიცხული 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნის ნაშთები საცალო მყიდველებისა და იურიდიული პირების მიმართ მოცემულია ქვემოთ:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-20	31-12-19
მოთხოვნები საცალო მყიდველების მიმართ	1,592	4,371
მოთხოვნები იურიდიული პირების მიმართ	48,124	5,715
სულ	49,716	10,086

7. მარაგები

კომპანიის მარაგების უმეტეს ნაწილს წარმოადგენს რეალიზაციისთვის განკუთვნილი მზა პროდუქცია. პროდუქციის შესყიდვა ხორციელდება უმეტესწილად იმპორტის გზით, თუმცა მარაგების ნაწილი შესყიდულია საქართველოში.

8. ძირითადი საშუალებები

2020 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	21,249	21,249
მანქანა-დანადგარები	-	12,569	12,569
ოფისის აღჭურვილობა	46,440	-	46,440
ავეჯი და სხვა ინვენტარი	36,428	1,098	37,526
სატრანსპორტო საშუალებები	73,283	-	73,283
სულ	156,151	34,916	191,067

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	270	270
მანქანა-დანადგარები	-	426	426
ოფისის აღჭურვილობა	15,588	9,091	24,679
ავეჯი და სხვა ინვენტარი	16,076	7,440	23,516
სატრანსპორტო საშუალებები	6,533	7,328	13,861
სულ	38,197	24,555	62,752

2019 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	27,386	19,054	46,440
ავეჯი და სხვა ინვენტარი	35,226	1,202	36,428
სატრანსპორტო საშუალებები	23,276	50,007	73,283
სულ	85,888	70,263	156,151

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	7,303	8,285	15,588
ავეჯი და სხვა ინვენტარი	8,843	7,233	16,076
სატრანსპორტო საშუალებები	388	6,145	6,533
სულ	16,534	21,663	38,197

9. სავაჭრო ვალდებულებები

2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებების საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-20	31-12-19
არარეზიდენტი მომწოდებლები	527,810	232,522
რეზიდენტი მომწოდებლები	1,210,764	1,156,252
სულ	1,738,574	1,388,774

10. მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები

კომპანიამ 2019 წელს აიღო 74,808 ამერიკული დოლარის სესხი მესაკუთრისგან. ბალანსზე სესხი წარმოდგენილია ექვივალენტ ლარში ეროვნული ბანკის კურსით 2020 წლის ბოლოს - 245,116 ლარის ოდენობით, ხოლო 2019 წლის ბოლოს - 214,527 ლარით.

ასევე, კომპანიას 2020 წლის ბოლოს ჰქონდა 496,500 ლარის სასესხო ვალდებულება სხვა დაკავშირებული მხარეს მიმართ. აღნიშნული სესხი 2020 წლის ბოლოს რეკლასიფიცირდა როგორც მოკლევადიანი. სასესხო ვალდებულება (496,500 ლარი) სრულად დაიფარა 2021 წელს.

11. საწესდებო კაპიტალი

2020 წელს დამფუძნებელმა კაპიტალში შეიტანა 13,300 ამერიკული დოლარი, რომლის ექვივალენტი ეროვნული ბანკის კურსით შეტანის დღისთვის იყო 44,434 ლარი.

12. შემოსავალი რეალიზაციიდან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

კომპანიის შემოსავლის წყარო არის ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი. ამჟამად კომპანია პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებს თბილისში მდებარე 4 სხვადასხვა ლოკაციაზე მდებარე მაღაზიებში.

კომპანია პროდუქციას ყიდულობს უმეტესწილად იმპორტის გზით, თუმცა მარაგების ნაწილი შესყიდულია საქართველოში. აღნიშნული პროდუქციის თვითღირებულების ხარჯში აღიარება ხდება შემოსავლის დარიცხვის შესაბამის პერიოდში, შესატყვისობის პრინციპის თანახმად.

13. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	31-12-20	31-12-19
სახელფასო ხარჯი	251,931	497,848
საპენსიო სარგებელი	3,363	7,518
სულ	255,294	505,366

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალური, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31-12-20	31-12-19
იჯარის ხარჯი	396,385	699,896
რეკლამისა და მარკეტინგის ხარჯი	20,906	70,850
კომუნალური მომსახურების ხარჯი	40,893	44,307
საბანკო ხარჯი	20,877	28,028
სამეურნეო და ჰიგიენის ხარჯი	10,245	31,569
სხვა ხარჯები	37,937	111,959
სულ	527,243	986,609

15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

15.1 სესხები

კომპანიამ 2019 წელს აიღო 74,808 ამერიკული დოლარის სესხი მესაკუთრისგან. ბალანსზე სესხი წარმოდგენილია ექვივალენტ ლარში ეროვნული ბანკის კურსით 2020 წლის ბოლოს - 245,116 ლარის ოდენობით, ხოლო 2019 წლის ბოლოს - 214,527 ლარით.

ასევე, კომპანიას 2020 წლის ბოლოს ჰქონდა 496,500 ლარის სასესხო ვალდებულება სხვა დაკავშირებული მხარეს მიმართ. აღნიშნული სესხი 2020 წლის ბოლოს რეკლასიფიცირდა როგორც მოკლევადიანი. სასესხო ვალდებულება (496,500 ლარი) სრულად დაიფარა 2021 წელს.

15.2 მენეჯმენტის კომპენსაცია

2020 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 119,904 ლარი, ხოლო 2019 წელს 255,928 ლარი.

15.3 სავაჭრო ვალდებულებები სხვა დაკავშირებული მხარეების მიმართ

კომპანიას ჰქონდა სავაჭრო ვალდებულებები სხვა დაკავშირებული მხარეების მიმართ 2020 წლის ბოლოს 869,712 ლარის ოდენობით, ხოლო 2019 წლის ბოლოს - 858,337 ლარი.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2021 წელს კომპანიას შეეცვალა დირექტორი. აღნიშნულ პერიოდში დირექტორის თანამდებობა აიპყრო ერჯანის ნაცვლად გუნგორ გორქემ აიდიმა დაიკავა.

2021 წელს კომპანიამ დაფარა 496,500 ლარის სესხი დაკავშირებული მხარეს მიმართ.

2021 წელს კომპანიამ ასევე აიღო რამდენიმე სესხი:

- 2021 წლის ნოემბერში მესაკუთრისგან - 140,000 აშშ დოლარისა და 389,000 ლარის სესხები;
- 2021 წლის თებერვალში სხვა დაკავშირებული მხარესგან - 150,000 აშშ დოლარის სესხი.